



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 3 21 0000954601



21/09/2021

„სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 20 აგვისტოს №809162 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის“:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კლასიფიკატორის მართვა და განვითარება გულისხმობს კლასიფიკატორის სტრუქტურისა და შინაარსის განვითარებას, რაც ხორციელდება კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისი ზოგადი აღმნიშვნელის ან/და უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილებით ან/და კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში:

ა) სწავლის სფეროს **დამატებით**, რაც გულისხმობს კლასიფიკატორში ახალი სწავლის სფეროს დამატებას;

- ბ) სწავლის სფეროს **შეცვლით**, რაც გულისხმობს კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დასახელების ცვლილებას ან/და ერთი სწავლის სფეროს სხვა სწავლის სფეროში გადანაცვლებას ან/და სწავლის სფეროს ჩანაცვლებას ახალი სწავლის სფეროთი;
- გ) სწავლის სფეროს **ამოღებით**, რაც გულისხმობს კლასიფიკატორში სწავლის სფეროს გაუქმებას;
- დ) სწავლის სფეროების **გაერთიანებით**, რაც გულისხმობს ორი ან მეტი სწავლის სფეროს ერთ სწავლის სფეროდ ჩამოყალიბებას;
- ე) სწავლის სფეროს **გაყოფით**, რაც გულისხმობს ერთი სწავლის სფეროს ორ ან მეტ სწავლის სფეროდ ჩამოყალიბებას;
- ვ) სწავლის სფეროში **ტექნიკური ხასიათის ცვლილებით**, რაც გულისხმობს სწავლის სფეროს ან/და კვალიფიკაციის ქართულენოვანი ან/და ინგლისურენოვანი ფორმულირების ისეთი ხასიათის ცვლილებას, რომელიც იწვევს სწავლის სფეროს შინაარსის ცვლილებას;
- ზ) სწავლის სფეროში **ტექნიკური უზუსტობის გასწორებით**, რაც გულისხმობს სწავლის სფეროს ან/და კვალიფიკაციის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დასახელების შეუსაბამობის, ორთოგრაფიული უზუსტობის ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობის გასწორებას, რაც არ ცვლის სწავლის სფეროს შინაარსს (ტექნიკური უზუსტობა შესაძლებელია გასწორდეს არა მხოლოდ კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში, არამედ ზოგადად კლასიფიკატორში).“.

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისი ზოგადი აღმნიშვნელის ან/და უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილებით კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ცენტრის ინიციატივა, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე.“.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

